

3792
1a

124



ლევან ბარსიაშვილი

ვეფსისტყაოსანი

სამხედრო ხელოვნების ისტორიის მასალები



სახელმწიფო გამომცემლობა

სამხედრო ხეობრი

თბილისი

1937

899.962.1 (092 ხეხიაჯედი)

Handwritten notes:
ქ. ხეხიაჯედი
19.11.37.
მ. ხეხიაჯედი

ლევან გარსიაშვილი

ვეფხისტყაოსანი

სამხედრო ხელოვნების
ისტორიის მასალები

Handwritten:
JK 3792
10

შინ არ გუიხება



ს ა ხ ე ლ მ შ ი შ ო
გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

ტფილისი
1937

ს ა მ ხ ე ლ რ ო
ს ე ქ ტ ო რ ი

რედაქტორი — მ. გობრონიძე
კორექტორი — ჩ. გაბესკირია
გამომშვები — ალ. ჩხენკელი
ცად. წარმ. 15/V. ხელმ. დასაბ. 31/V 37 წ.
წ. ზ. 5×8. ქ. ზ. 72×105. ფ. რ. 2 ფ.
შეკვ. № 698. მთ. № 60 380. ტირ. 3000

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ჟორესის № 5

„ვეზნისტჟაოსნიდან“ ამოკრეფილი მასა- ლები სამხედრო ხელოვნების ისტორიი- სათვის

თამამად შეიძლება ითქვას, რომ იშვიათია ისეთი დარგი ხელოვნებისა, რომელიც ისე მკაფიოდ გამოხატავდეს ისტორიული ხანის სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციას, როგორც სამხედრო ხელოვნება. ეს იმიტომ, რომ „არაფერი არაა ისე დამოკიდებული ეკონომიურ პირობებზე, როგორც სწორედ ჯარი და ფლოტი. შეიარაღება, შემადგენლობა, ორგანიზაცია, ტაქტიკა და სტრატეგია, უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრულ დროის წარმოებისა და კავშირგაბმულობის საფეხურზეა დამოკიდებული“¹.

ამის გამო, თუ გვსურს კარგად გავეცნოთ და გავიგოთ რომელიმე ხალხის წარსული, საჭიროა გულდასმით შევისწავლოთ ამ ხალხის სამხედრო ხელოვნების ისტორია.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა და უაღრესად საჭიროც ქართველი ხალხის წარსულის გაცნობისათვის, საფუძვლიანად შევისწავლოთ მისი წარსული სამხედრო ხელოვნების ისტორია. ეს მით უმეტეს, რომ ქართველი ხალხის წარსული, მისი ისტორია, უხვად შეიცავს ომების ისტორიას.

¹ Фр. Энгельс „Анти-Дюринг“—партиздаг, Москва, 1934 г. გვ. 119.

სამწუხაროდ, ამ მხრივ დღევანდლამდე თითქმის არა-
ფერი გაკეთებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორი-
ოდე ფელეტონურ წერილს, რომლებიც, უკეთეს შემთხვე-
ვაში, გამოდგება მხოლოდ მასალად სამხედრო ხელოვნე-
ბის ისტორიისათვის.

ცხადია, ამ დიდი ნაკლის შევსებას შევძლებთ მხოლოდ
მომავალში. ახლა კი საჭიროა შეგროვდეს და დამუშავ-
დეს საჭირო მასალა.

ამგვარ მასალის ერთერთ მდიდარ და საიმედო წყა-
როს წარმოადგენს მხატვრული ლიტერატურა.

ჩვენ განვიზრახეთ ამ თვალსაზრისით „ვეფხისტყაოს-
ნის“ შესწავლა. „ვეფხისტყაოსანი“ მონუმენტალური
ძეგლია არა მარტო მხატვრული ხელოვნებისა, არამედ
იგი სამხედრო ხელოვნების ისტორიისათვისაც მეტად
საინტერესო და საგულისხმო მასალას გვაძლევს.

ამ თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა უუქს
მოჰქვენს ბევრ სხვა საკითხსაც და გაადვილებს ამ დიდი
განძის შეთვისებას და შეგნებას.

სამხედრო ხელოვნებისათვის დამახასიათებელია ია-
რადი, სამხედრო ორგანიზაცია, მებრძოლის თუ ჯარის
გაწვრთნა-მომზადება, საბრძოლო წყობილება და ბრძო-
ლის წარმოების წესი (ტაქტიკა, სტრატეგია), ჯარის მარ-
თველობა და დისციპლინა. თუ ყველა არა, მეტი წილი
ამ ელემენტებისა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საკმა-
რისად ფართოდ და ნათლად გამოსახულია „ვეფხისტყაო-
სანში“.

„ვეფხისტყაოსანში“ მოხსენებულია:

იარადი: ა) სასროლი იარადი: მშვილდი და ისარი
კაპარჭით.

„აჰა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშ-
რომელი“ (78).

„ხრმალ-კაპარჭი მოიმაგრა, მკლავნი გაიმამა-
ცურნა“ (97).²

ბ) მკვეთრი იარაღი: შუბი, ლახვარი, ხმალი ანუ შიმშერი და მისი ნაწილი კოტა, სახნისი ძელზე წამოგებული და დანა.

შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, — ვაქებ, ხრმა-
ლო, ვინცა გლესა“ (488).

„ხრმალ გამოწვდილი მივუხე, მივეც ლახვართა სო-
ბასა“ (969).

„ვის შვენის, ლომსა, ხმარება შუბისა, ფარშიმ-
შერისა“ (3).

„ჩვენ ქაჯეთს ქაჯთა მეომრად დავაგნეთ ხრმალთა
კოტანი (1453).

„მას ნავსა ნავთა სალეწად სახნისი ჰგია ძელითა“
(1100).

„ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკვნა, დაჰკლა დანითა“
(1178).

გ) დაცვითი იარაღი: ფარი ანუ დარაკა, მუზარადი და მისი ნაწილი ზარადი, ჩაბალახი, ჯაჭვი ჩვეულებრივი და საკურტაკე, ჯავშანი, ქათვი (სამხარილლიე ჯავშანი) და საბარკული (საწვივე ჯავშანი).

„ზედა ეწერა“ „აქა ძეს აბჯარი საკვირველიო,
ჯაჭვ-მუზარდი, აღმასი, ხრმალი ბასრისა მჭრე-
ლიო“ (1433).

„დაეხურა ზარადები, პირსა მათსა უფარვიდა“ (1444).

„მათი მესმა დაპირება, ჩაბალახთა ჩამობურვა (657).

„კიდობანი გახსნეს, ჰპოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი, რასაცა ვით შეიმოსენ მეომარნი სამნი ყმანი,

² როგორც აქ, ისე ყველგან ტექსტი მოყვანილია — კონსტ კი-
კინაძის რედაქციით გამოცემული „ვეფხისტყაოსნიდან“.

ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, **საბარკული** მათი გვანი“
(1434).

„დავეკაზმენით საომრად ჯაჭვ-ჯავშანითა, **ქაფითა**“
(483).

„ცხენსა შევჯე წაცამოველ **ჯაჭვი** მეცვა **საკურტაკე**“
(601).

„გათენდა, გაჩნდეს, მიმართეს თავისთავ **ჰქონდა**
ფარები“ (1479).

ჩამოთვლილი იარაღის გარდა მოხსენებულია ლახტი, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს იარაღი იმ დროს ხმარებაში ყოფილიყო; ეს სიტყვა მთელ ნაწარმოებში ორჯერაა მოხსენებული. პირველად ტარიელი რომ უამბობს ავთანდილს გამოქვამულიდან დევების გაძევების და მათთან ბრძოლის ამბავს, მოუთხრობს: „**მათითა ლახტის ცემითა ქვეყანა შეირყეოდა**“ (699). მეორე შემთხვევაში, ფატმანმა, რომ უამბო ავთანდილს ჩაჩნაგირის შესახებ და სთხოვა მისი მოკვლა, ავტორი მოგვითხრობს: „**რა ესე ესმა ავთანდილს ლაღსა, ბუნება—ზეარსსა ადგა და ლახტი აიღო**“ (1172), მაგრამ, ვიმეორებთ, ლახტი ისეთი იარაღი არ უნდა იყოს, რომელსაც მაშინ მებრძოლნი ხმარობდნენ, რადგანაც პირველ შემთხვევაში ავტორი ამ იარაღის ხმარებას მითოლოგიურ დევებს მიაწერს, მეორე შემთხვევაში კი თვით ავთანდილსაც არ მოუხმარია ლახტი. უეჭველია, თუ ავთანდილს ლახტი სჭირებოდა, გამოიყენებდა კიდევ მას. ავთანდილმა კი ჩაჩნაგირს „**ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკვნა, დაჰკლა დანითა**“ (1178), ჩაჩნაგირის ორ დარაჯ მონას კი „**თითო ხელი ყელსა მიჰყო, მუნვე მისცა სულთა ხდასა, თავი თავსა შეუტაკა, გაურივა ტვინი თმასა**“ (1177). ამის გარდა, არც ავთანდილის, არც ტარიელის, არც ფრიდონის, არც სხვა პერსონაჟის იარაღის აღწერის დროს ავტორი არ იხსენიებს ლახტს. ცხადია, მეორე შემთხვევაში ეს სიტყვა გადამწერს შეცდომით შეუტანია.

მოხსენებულია კიდევ კეტი რკინისა: „**მას ხელთა კეტი რკინისა ჰქონდა ხელითა ცალითა**“ (1104) და კიდევ „**კეტი ჰკრა, ძელი მოსტენა ლომს მკლავი არ უდრებოდა**“ (1105); მაგრამ საეჭვოა, რომ რკინის კეტიც ავტორის დროს ჩვეულებრივი იარაღი ყოფილიყოს. ჯერ ერთი სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან ვიცით, რომ არც ერთ კულტუროსან ხალხს კეტი რკინისა არ გამოუყენებია, როგორც ჩვეულებრივი საბრძოლო იარაღი, ქვემოთ კი დავინახავთ, რომ ავტორის დროინდელი საზოგადოება მატარებელია შედარებით მაღალი კულტურისა. ამას გარდა მთელ ნაწარმოებში მხოლოდ ავთანდილი ხმარობს რკინის კეტს, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ავტორი საჭიროდ სთვლის განმარტოს ამ, როგორც ეტყობა, უცნაური იარაღის ხმარება. ს. კაკაბაძის გამოცემაში (ტფილისი, 1927 წ.) ზემოთ მოყვანილი სტრიქონი „ვეფხის ტყაოსანში“ იკითხება ასე: „**კეტი ჰკრა, ძელი მოსტენა, სხვით არად არ მოსტყდებოდა**“

მოხსენებულია კიდევ „ნაჭედი მათრახი“, რომელსაც ტარიელი ორ შემთხვევაში ხმარობს, როგორც საბრძოლო იარაღს (98, 228,), მაგრამ „ნაჭედი მათრახიც“ არ უნდა იყოს იმდროინდელი საბრძოლო იარაღი. თუ მათრახი ტარიელის ხელში იგივეობს საბრძოლო იარაღთან, ეს იმით აიხსნება, რომ ტარიელს „**ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უხსოხი მკლავისა**“ (88) და ამით ავტორს სწავლია მხოლოდ ტარიელის ბუმბერაზობა გამოხატოს.

აქვე გაკვრით უნდა აღინიშნოს ის პატარა შეცდომა, რომელიც დაშვებულია „ვეფხისტყაოსნის“ თითქმის ყველა გამოცემაში და ერთგვარ გაუგებრობას იწვევს. მხედველობაში გვაქვს 1433 ტაეპი კ. ჭიჭინაძის რედაქციით: „აქა სძეს აბჯარი საკვირველიო, ჯაჭვ-მუზარადი, აღმა-

სი, ხრმალი ბასრისა მჭრელიო“. აღმასი, როგორც ძვირ-
ფასი ქვა, ცხადია, საბრძოლო იარაღად არ ჩაითვლება,
აქ კი ჩამოთვლილია საბრძოლო იარაღი, მაშასადამე, სიტყ-
ყვა აღმასი აქ ნახმარია მჭრელის მნიშვნელობით, რო-
გორც თვისების გამომხატველი (ზედსართავი სახელი) და
უნდა იკითხებოდეს ასე: „აღმასი ხრმალი, ბასრისა მჭრე-
ლიო“, ე. ი. მძიმე — ხმლის შემდეგ უნდა დაისვას.

ზოგიერთ გამოცემაში (მაგალითად ბროსეს გამოცემა-
ში) სიტყვა „აღმასის“ მაგიერ ამ ტაეპში ნახმარია სიტყვა
„აბჯარი“, მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს სიტყვაც ამ ტაეპში
შეცდომით უნდა იყოს გადამწერის მიერ შეტანილი. სი-
ტყვა აბჯარი „ვეფხისტყაოსანში“ 35-ჯერ არის მოხსენე-
ბული და ყოველთვის ზოგადი მნიშვნელობით — საერთოდ
ყოველგვარი იარაღის შეკრებითი სახელის მნიშვნელობით,
თუ ზემოთმოყვანილ ტაეპში აღმასის მაგიერ სიტყვა აბ-
ჯარს ჩავწერთ, მაშინ უეჭველია, უნდა ვიგულისხმოთ, რომ
სიტყვა „აბჯარს“ კერძო მნიშვნელობაც ჰქონია, რადგა-
ნაც აქ ჩამოთვლილია ცალ-ცალკე იარაღი. სიტყვა „აბ-
ჯარის“ კერძო მნიშვნელობა, ჩვენის აზრით, დასაშვებია
მხოლოდ, როგორც ტანთსაცვამი ჯაჭვისა. ამ შემთხვევა-
ში კი გაუგებარი იქნება ნაწარმოების ბევრი გამოთქმა
აბჯრის შესახებ, მაგალითად: „შეირტყა წელსა აბჯარი“
(216), ან „უბრძანა, ხელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარ-
ე“ და სხვა. უეჭველია, უფრო მართებულია ამ ტაეპში
სიტყვა „აღმასი“.

როგორც სჩანს, ქვის ტყორცნასაც ჰქონია მაშინ ად-
გილი. ტარიელი უამბობს ავთანდილს ფრიდონის მოწი-
ნააღმდეგეებთან ბრძოლის შესახებ: „**ქვითა დავლენით
წვივები**“ (661), მაგრამ არაფერია ნათქვამი, ხელით
სტყორცნიდნენ ქვას, თუ იყო რაიმე სატყორცნი იარაღი.
უეჭველია, ეს იარაღი შურდულისებური რამ უნდა ყო-

ფილიყო. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ თამარ მეფის ისტორიკოსიც მოგვითხრობს: „წამოდგეს ბანთა და შუაკართა ზედა ისრის მსროლელნი და ქვის მტყორცებელნი“ („ქართლის ცხოვრება“, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ტფილისი, 1897 წ. გვ. 434).

მოხსენებულია კიდევ სიტყვა ხანჯალი, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიერ იყოს ნახმარი, რადგანაც ხანჯლის მნიშვნელობით ავტორი 15 შემთხვევაში ხმარობს სიტყვა **დანას** და მხოლოდ ერთხელ **ხანჯალს**. უეჭველია, ეს სიტყვაც შემდეგაა ჩამატებული.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. ს. კაკაბაძე სიტყვა **კოტას** განმარტავს, როგორც ლახტს („ვეფხისტყაოსანი“, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, 1927 წ. გვ. 197). „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან კი ცხადად სჩანს, რომ ამ ნაწარმოების ავტორი სიტყვა **კოტას** ხმარობს ხმლის ტარის მნიშვნელობით. თუ დავუშვებთ ს. კაკაბაძის განმარტებას, გაუგებარი და უაზრო იქნება გამოთქმა „ვეფხისტყაოსნის ავტორისა: „ხრმალთა კოტანი“ (1433).

ჩვენ ვიცით, რომ თოფის წამალი და ცეცხლმსროლელი იარაღი პირველად გამოიყენეს ესპანეთში არაბებმა, ქალ. ალჟესირასს რომ ალყა შემოარტყეს, მე-13 საუკუნის დამდეგს.³⁾

აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს არავითარი წარმოდგენა არა აქვს არც თოფის წამალზე, არც ცეცხლმსროლელ იარაღზე.

სამხედრო ორგანიზაცია—ნაწარმოებიდან მკაფიოდ არ სჩანს, ჰგულისხმობს თუ არა ავტორი მუდმივ ჯარს,

³⁾ П. И. Майн „Стрелковое оружие“, изд. Артил. Академии РККА, 1934 г., г. Ленинград, გვ. 12.

თუმცა უფრო საფიქრებელია, რომ ჯარი მუდმივი იყო. ჯარი იკრიბება საქიროების და მიხედვით, მშვიდობიანობისას ნადირობისათვის და ომიანობისას—ბრძოლისათვის. ტარიელი ასე უამბობს ავთანდილს ხატაელებთან საბრძოლველად მზადებას:

„გუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარჯაპანია, იგი ვარსკვლავთა ურიცხვი, მოკრებს ინდოთა სპანიაო“
(444).

და მეორე შემთხვევაში:

„კაცი გავგზავნე, ვაცნობე ყოვლგან ლაშქარსა ყველასა“ (603).

როსტევან მეფე და ავთანდილი რომ სანადიროდ გაემზადნენ, ავტორი მოგვითხრობს „**ლაშქარნი სამზოდ აწვიგნესო**“ (74). აქედან სჩანს, რომ ლაშქარის გაწვევის წესიც უნდა ყოფილიყო წინასწარ დამუშავებული. სამწუხაროდ, ნაწარმოებიდან არ სჩანს, როგორი იყო თვით წესი ლაშქრის გაწვევისა.

ლაშქრის მებრძოლთა რიცხვი, როგორც სჩანს, დაახლოებით მაინც აღრიცხული უნდა ყოფილიყო. ავტორი ავთანდილის შესახებ ერთს შემთხვევაში ამბობს: **„ავთანდილ პირმზე სპასპეტი ლაშქრისა ბევრ ათასისა“** და როსტევან მეფის შესახებ, პოემის დასაწყისში **„ლაშქართმრავალი, ყმიანი“**.

თუმცა ლაშქარი მეფის განკარგულებით იკრიბება, როგორც ეტყობა, ლაშქრის ცალ-ცალკე სპათა უშუალო მებატრონე—ის მემამულე უნდა ყოფილიყო, ვის მიწა-წყალზედაც იკრიფება ლაშქარი.

იმ თანამდებობის პირთა მიხედვით, რომლებიც მოხსენებულია „ვეფხისტყაოსანში“, ძნელია იმ დროინდელ სამხედრო ორგანიზაციის სავსებით აღდგენა, მაგრამ ამ მხრივაც საკულისხმო ცნობებს გვაწვდის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი.

„ვეფხისტყაოსანში“ მოხსენებული არიან შემდეგი თანამდებობის პირნი: სპასპეტი, ამირსპასალარი, სპასალარი, ამილბარი, ამილახორი, მარზაპანი.

„სვთანდილ იყო სპასპეტი ძე ამირ-სპასალარისა“ (42).

„ერთი სამეფო საკარგემო, უბოძა ამილბარობა. თვით ამილბარსა ინდოეთს აქვს ამირ-სპასალარობა“ (348).

„ამილახორო“ მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია“ (56).

„ვუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია;

„კვლა ფრიდონისნი აავსნა, სპა ჰყვა, თუ სპასალარები“ (1569).

სპასპეტი და ამირსპასალარი, როგორც სჩანს, უმაღლესი თანამდებობის პირნი იყვნენ. მათ ექვემდებარებოდა სახელმწიფოს მთელი ლაშქარი. ამ ორ ტერმინს ავტორი ხმარობს ერთსა და იმავე მნიშვნელობით, იგი დაახლოვებით უდრის ჩვენი დროის მხედართმთავარს ანუ მთავარსარდალს. ამილბარიც დიდი თანამდებობის პირი ყოფილა, თითქმის მეფის სწორი. ტარიელი თავის თავზე ამბობს:

„ამილბარი ვარ, ხელმწიფე, სრულად ინდონი მმონობენ“ (407).

და თავის მამა ამილბარზე:

„თვით მეფე მან მამაჩემი დაიჭირა სწორად თავსა, თქვა ჩემებრივ ამილბარი, ნაძლევი ვარ, ვისაც ჰყავსა“ (349).

მაგრამ ნაწარმოებიდან არ სჩანს, რა მოვალეობას ასრულებდა ამილბარი. მართალია, „თვით ამილბარსა ინდოეთს აქვს ამირსპასალარობა“ (348), მაგრამ ამილბარის თანამდებობითაც რაღაც მოვალეობა ჰქონია დანიშნულ პირს, რადგანაც ფარსადან მეფე ტარიელს, რომ

ამილბარად ნიშნავს, ეუბნება: „შენ გქონდეს ამილბარობა, ქმნა მისვე საურავისა“, ნაწარმოებიდგან კი არ სჩანს, რაში გამოიხატებოდა ეს „საურავი“.

ლაშქარი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იყოფოდა რაზმებად და სწორედ ამ რაზმების მეთაურნი უნდა ყოფილიყვნენ სპასალარნი, თუმცა ეს ნაწარმოებიდგან ნათელი არაა.

როგორც სჩანს, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, რიგის სპასპეტნიც უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც ერთ ალაგას (1051) ავთანდილი თავის თავს „დიდი სპასპეტს“ უწოდებს. ამის გარდა თვით ავტორი ავთანდილზე ამბობს, „ძე ამირსპასალარისა“. მაშასადამე, ავთანდილი უბრალო სპასპეტი კი არა ყოფილა, არამედ „სპასპეტი ლაშქრისა ბევრ ათასისა“. იყვნენ იმის გარდა რიგის სპასპეტნიც იმავე მნიშვნელობით, როგორც სპასალარნი.

მარზაპანებს ევალებათ ჯარის შეკრება. არ სჩანს, მარტო ამაში გამოიხატებოდა მათი მოვალეობა, თუ სხვა რამეც ევალებოდათ, შესაძლებელია ისინი იყვნენ თემების, როგორც სამხედრო ოლქის, უფროსნი.

ყველა ჩამოთვლილი თანამდებობის პირნი მშვიდობიან დროსვე ინიშნებიან და ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ეს უტყუარი საბუთია იმისი, რომ იმ დროს ჯარის ორგანიზაცია წინასწარვე იყო გათვალისწინებული, მით უფრო შეგვიძლია ამის მტკიცება, რომ ჯარი შეკრებისას ეწყობა, წინასწარ განსაზღვრულ წესით: „დაიწყეს დგომა ლაშქართა თემ-თემად, დას-დასებისა“ (595).

მაშასადამე, ჯარი ეწყობა „თემ-თემად დას-დასებისა.“

საინტერესოა და გამოსარკვევი ჯარის „თემ-თემად“ დაწყობა. თემი, როგორც საბა-სულხან ორბელიანი განმარტავს, „ქვეყნის ერთი ნაწილია“, მაშასადამე, თემი სახელმწიფოში შემავალი ტერიტორიული ერთეულია, საიდა-

ნაც ჯარი იკრიბებოდა ძველად. უეჭველია, განსაზღვრულ თემიდან შეკრებილი ჯარი შეადგენდა ცალკე სამხედრო ერთეულს, ამის გამოც ჯარი ეწყობა „თემ-თემად“. ცხადია, თემს განსაზღვრული სამხედრო ვალდებულებანი ჰქონდა. სამწუხაროდ ნაწარმოებიდან არ სჩანს, რაში გამოიხატება ეს ვალდებულებანი, ჯარის შეკრების გარდა, ან როგორი იყო თვითონ ჯარის შეკრების წესი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ მე-7 საუკუნის ბიზანტიაში შემოიღეს სახელმწიფოს ტერიტორიის დაყოფვა ცალ-ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებად, რომლებიც ერთსა და იმავე დროს სამხედრო ოლქის როლს თამაშობდნენ. ამგვარ ადმინისტრაციულ ერთეულს—სამხედრო ოლქს, ბერძნულად „თემა“ ერქვა⁴.)

ბიზანტიიდან შემოვიდა საქართველოში ეს წესი ტერიტორიის დაყოფისა, თუ საქართველოში შემუშავდა დამოუკიდებელივ, როგორი იყო ზედმიწევნით თემებში ჯარის შეკრების წესი და პირობები—ეს საკითხები ცალკე გამოკვლევას მოითხოვს.

თუმცა სარანგებს „ხელთა აქვთ აბჯარი“, მაინც სარანგი სამხედრო რაზმის უფროსი კი არ არის, როგორც ს. კაკაბაძე განმარტავს, არამედ „რაოდენთა კაცთა უფროსი, რათა მათ მიერ ბოროტნი კაცნი შეშინდნენ“ (საბა), ე. ი. წესრიგის დამცველნი იყვნენ მშვიდობიანობისას, შესაძლებელია, ომის დროსაც ბრძოლის ველზე.

„ზედა მოატყდა მკვრეტელი, გახდეს ზათქი და ზარები.“

⁴) Ф. И. Успенский „История Византийской империи“, том I, часть II, изд. Брокгауз-Ефрон, С-Петербург, гл. VII. და Г. Дельбрюк „История военного искусства в рамках политической истории“, т. III, гл. VII, изд. Госвоениздат. Москва, 1933 г.

ვერ იჭირვიდეს სარანგნი, მუნ იყო არ სიწყნარები
(1242).

და მეორე შემთხვევაში:

„შუკათა მოღვეს ვაჭარნი, ყოვლგნით მჭვრეტელ-
თა ჯარია:

შორს უარებდეს სარანგნი, ხელთა აქვთ მათ აბჯა-
რია;

მოიჯრებოდეს ჯალაბნი, სარანგთა დამსაჯარია“.
(1531).

როგორც სჩანს, ჩვეულებრივი ყოფილა მშვიდობიანო-
ბის დროს მგზავრების (მეტადრე ვაჭრების) გაძარცვა მე-
კობრების მიერ და ამის გამო ჩვეულებრივია შეიარაღე-
ბულ დამცველის გაყოლება, რაც ასე დამახასიათებელია
ფეოდალური ხანისათვის.

„მათი ბადრაგა ავთანდილ უძღვის გულითა ქველი-
თა“ (1100).

საგულისხმოა კიდევ მეთვალყურე დარაჯის დანიშვნა
ბრძოლის დროს:

„სალამოს უამს დაიზახა ქედით მათმან დარაჯამან“
(491).

ეს ცხადი საბუთია იმისი, რომ ავტორისდროინდელ
სამხედრო წრეებში კარგად ჰქონდათ შეგნებული მოულოდ-
ნელ თავდასხმის მნიშვნელობა, იცოდნენ, რომ მოწინა-
აღმდეგის მიერ შესაძლებელი იყო სხვადასხვა მანევრი და
ამ მანევრის წინააღმდეგ ზომებს ღებულობდნენ.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ხშირად ხმარობს სიტ-
ყვებს „ყმა და მოყმეს“ რაინდის მნიშვნელობით (ფეოდა-
ლურ ხანისა). აქ საინტერესოა ერთი გარემოება: თუმცა
იმ ორ სიტყვას თითქმის ერთსა და იმავე მნიშვნელობით
ხმარობს ავტორი, მაგრამ ცოტაოდენი განსხვავება მაინც
მოსჩანს ამ ორ ტერმინს შორის.

მოყმე მთელ ნაწარმოებში ნახმარია 36-ჯერ, ამათში 11-ჯერ ავთანდილის შესახებ, 10-ჯერ ტარიელის და 4-ჯერ ფრიდონის შესახებ, სხვა შემთხვევაში ავტორი ხმარობს მოყმეს, როდესაც მოგვითხრობს განყენებულ პიროვნებებზე. არც ჩაჩნავირს, არც სამ ძმა ხატაელს, ან ნაწარმოების სხვა პიროვნებას ავტორი მოყმეს არ უწოდებს, თუმცა იმათ ყმებად მოიხსენებს, როგორც ხშირად ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს. აქედან მოსჩანს, ვიმეორებთ, ერთგვარი განსხვავება ამ ორ ტერმინს შორის, მაგრამ ეს საკითხიც მოითხოვს ცალკე გამოკვლევას. როგორც სჩანს, ყმებს თან ახლდათ მებაჯრენი:

„ჩვენ ვიახლენით სამოავე სამნივე მებაჯრენია“
(223),

ეუბნებიან სამნი ძმანი ხატაელნი ავთანდილს.

სამხედრო გაწვრთნა-მომზადება — როგორც ნაწარმოებიდან სჩანს, მშვილდოსნობა, შუბოსნობა, ხრმლითკვეთება იყო საგნები, რომლებიც ყველა მებრძოლს უნდა შეესწავლა და რითაც იგი ფასდებოდა. ტარიელი თავის აღზრდაზე რომ უამბობს ავთანდილს, მოუთხრობს:

„თვით შუბოსანნი ჩემებრივ არავინ არ ეგებიან“
(354).

მეორე შემთხვევაში:

„ჩემგან ხრმლითა განაკვეთი ნახეს, მეტად გაუკვირდეს“ (496).

როსტევან მეფე მოსთქვამს:

„ღმერთმან არ მომცა ყმაშვილი, ვარ საწუთროთა თმობითა, ანუცა მგვანდეს მშვილდოხნად, ანუ კვლავ ბურთაობითა“ (65).

ყველა ცალკე მებრძოლს გაწვრთნა-მომზადება ამ საგნების ვარჯიშში გამოიხატებოდა, მებრძოლთა კოლექ-

ტივი კი, როგორც სჩანს, იწვრთნებოდა ნადირობით. არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ძველი დროის ნადირობა რთული და პასუხსაგები საქმე იყო. გარეული ნადირი და მხეცი იმდენად მრავლად იყო, მეორე მხრივ იარაღი შედარებით იმდენად პრიმიტიული, რომ ნადირობა მოითხოვდა დიდ გამბედაობას, ხერხს, მონადირეთა მოქმედების ურთიერთ შეთანხმებას. პასუხსაგები საქმეც იყო, რადგან გარეული ნადირი ხშირად შემოსეულ მტერზე ნაკლებ ზარს არ სცემდა მოსახლეობას. ბოლოს, დახოცილი ნადირი შესამჩნევი წყარო იყო შემოსავლისა. ამით აიხსნება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები შედარებით ხშირად მართავენ ნადირობას.

ნადირობა, ბურთაობა, ასპარეზობის მონაწილე მშვიდობიან დროს იჩენდა მებრძოლის თვისებებს და ამითვე ფასდებოდა ვაჟკაცი. ამით აიხსნება ავთანდილის გაბედული პასუხი როსტევან მეფის ჩივილზე:

„მიწამცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვიდდო-
სანია;

ნაძლევი დავდგათ, მოვასხნეთ მოწმედ თქვენივე
სპანია:

მოასპარეზედ ვინ მგავსო? ცუდიღა უკუთქმანია,
გარდამწყვეტელი მისიცა ბურთი და მოედანია“ (69).

საბრძოლო წყობილება და ბრძოლის წარმოების წესი. როგორც სჩანს, განსაზღვრული, წინასწარ გამომუშავებული საბრძოლო წესი და, მაშასადამე, საბრძოლო წყობილებაც უნდა ყოფილიყო. ტარიელმა ხატაელებს შეუთვალა:

„ბრძანეთ, მოდით, შემებენით ვითა წესი და რიგია“
(485).

მართალია, ავტორი არ ასწერს დაწვრილებით საბრძოლო წყობილებას. ცხადია, ეს არც საჭირო, არც სავალდებ-

ბულოა მხატვრული ნაწარმოების ავტორისათვის, მაგრამ მაინც ნაწარმოებიდან სჩანს, რომ ავტორმა კარგად იცის იმდროინდელი საბრძოლო წყობილება და ბრძოლის წესები.

როგორც სჩანს, ტაქტიკური ერთეული რაზმი იყო.

ბრძოლაში რამდენიმე რაზმი ღებულობდა მონაწილეობას.

ტარიელი ავთანდილს ხატაელებთან ბრძოლას რომ უამბობს, აღნიშნავს:

„ერთობ სრულად ამოვწყვიტე წინა კერძი რაზმი ორი“ (489).

რაზმი რამდენიმე კეცის ანუ მწკრივასაგან შესდგებოდა.

როგორც ეტყობა, რაზმის მწკრივის ანუ კეცის რიცხვი განსაზღვრული არ უნდა ყოფილიყო. ტარიელი ხატაელთა ჯარის შესახებ ამბობს:

„შეჰქმნეს რაზმი მრავალ კეცი“ (486).

რაზმი განსაზღვრულ წესით უნდა მდგარიყო, უეჭველია, ერთიმეორის გვერდით და სილრმეში. მჭიდროდ დაკავშირებული, იმავე ადგილას ტარიელი ამბობს:

„მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წუნარად დგეს და აუ-შლელად“ (487).

ბრძოლა, როგორც მოსალოდნელია, წარმოადგენს ორ პირისპირ დამდგარი „მრავალკეცი“ რაზმების შეხლას. მაგრამ ბრძოლა უბრალო შეხლა და ჭიდილი კი არ არის, როგორც, ვთქვათ, საშუალო საუკუნოებში ევროპელ რაინდებს შორის, არამედ სამხედრო ხელოვნების უფრო მაღალი საფეხურია. ბრძოლაში სხვადასხვა ტაქტიკურ ხერხსაც მიჰმართავენ: ჩასაფრებას, დაზვერვას, შემოვლას, მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანას და მოულოდნელად თავდასხმას. ეტყობა, ყველაფერი ეს მაშინ ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ტარიელი ხატაელებთან ბრძოლის დასაწყისს ასე ას-
წერს:

„კვამლი შეჰქმნეს ლაშქართათვის, დამალული გა-
ამჟღავნეს;

სამალავით გამოვიდეს, თავნი ორგნით აქარავნეს“
(486).

ბრძოლა იწყება შუბით, რომ აერივნათ მოწინააღმდე-
გის „მრავალ კეცი“ რაზმი, რომელიც „წყნარად სდგეს და
აუშლელად“ და შემდეგ ხმალდახმალ ეკვეთებიან ერთმა-
ნეთს; ბრძოლას იწყებს ყველაზე ძლიერი მებრძოლი და
სცემს იმ ადგილას, სადაც მოწინააღმდეგის „უფროსი
რაზმი“ ეგულება.

მას მხარს უჭერენ „ერთობილნი“ და ამ ხელჩართულ
ბრძოლით სწყდება საკითხი. ტარიელი ასე ასწერს ხა-
ტაელებთან ბრძოლას:

„შუბი ვსთხოვე, ხელი ჩავყავ მუზარადის დასარ-
ქმელად,

საომარად ატენილი ვიყავ მათდა გამტენელად;

ერთსა წავსწვდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე
გრძელად.

მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს და აუ-
შლელად“ (487).

ახლოს მიველ, შემომხედეს, შმაგიაო, ესე თქვესა.

მუნ მივმართე მკვლავ-მაგარმან, სად უფრისი ჯარი
დგესა:

კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც; მათ ორნივე მიჰხდეს

მზესა,

შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ,—ვაქებ, ხრმალო,

ვინცა გლესა! (488).

შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა, ვითა ქორი.

კაცი კაცსა შემოვტყორცნე, ცხენ-კაცისა დავდგი

გორი;

კაცი, ჩემგან განატყორცნი, ბრუნავს ვითა ტან-
ჯორი;
ერთობ სრულად ამოვწყვიტე წინაკერძი რაზმი ორი“
(489).

„ერთობილნი მომეხვივნეს, მრგვლივ შეიქმნა ომი
ლილი“ (490).

ბრძოლას თუ ლაშქრობას წინ უსწრებს დაზვერვა და
საერთოდ საჭირო ცნობების შეკრეფა. ფატმანი, შექვე-
ლია, ავთანდილის კარნახით, სწერს ნესტან დარეჯანს:
„ჩვენ ამისთვის ესე მონა გამოვგზავნეთ თქვენსა წინა.
ვსცნათ ამბავი ქააჯეთისა, მოსრულმანცა ქაჯნი შინა?
მანდაურთა მეომართა ანგარიში წვრილად გვინა,
ვინ არიან მცველნი შენნი, ან თავადი მათი ვინა“ (1336).

რაცა იცი მანდაური, მოგვიწერე გაამჟღავნე“ (1337).

ეს, ასე ვთქვათ, სტრატეგიული დაზვერვაა, მაგრამ
უშუალოდ ბრძოლის წინაც ხდება დაზვერვა, ე. ი. ტაქ-
ტიკურ დაზვერვასაც ჰქონდა იმ დროს ადგილი.

ავტორი მოგვითხრობს, რომ ქაჯეთის ციხის აღების
წინ ტარიელმა და მისმა მეგობრებმა „მას ლამით უქმნეს
სადარნო, ⁴⁾ უცრუო ანაჩქარები“ (1479).

აღსანიშნავია კიდევ საუცხოო ხერხი, რომელსაც
მიმართეს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებმა ქაჯეთის ციხის
ასაღებად ტარიელის რჩევით:

„მაგა თათბირსა, ესე სჯობს, ვქმნათ ჩემი მონახე-
ნები:

გავიყოთ კაცი ას-ასი, რა ლამე ჩნდეს ნათენები,
სამთავე სამგნით მივმართოთ, ფიცხლავ დავსხლი-
ტოთ ცხენები“ (1471).

„ფიცხლავ შევებნეთ, შევსჯარნეთ, ვერ მოგვა-
სწრებენ კარებსა.

სამთაგან ერთი შევუალოთ, სხვა გარეთ ვსცემდეთ
გარებსა,

⁴⁾ სადარნო დაზვერვას ნიშნავს.

**მან ერთმან შიგნით შიგანნი მივსცეთ სისხლისა ღვა-
რებსა“ (1472).**

აქ მოცემულია ჩინებული ხერხი ადგილობრივ გამაგრებულ მოწინააღმდეგეზე შეტევისა. აქ არის შემდეგი მართებული აზრი: მომგერიებელს არ ძალუძს ყველგან ძლიერი იყოს და მისი ძალისა და ყურადღების უფრო მეტი დაქსაქისათვის საჭიროა შეტევა სწარმოებდეს რამდენიმე მხრით, რადგანაც „სამთავან ერთი შეუვალთ“, რამდენიმე მხრიდან შეტევით უფრო ადვილად ვუპოვნით მომგერიებლებს სუსტ მხარეს, გავარღვევთ მასო. გაირღვევა თუ არა ერთი ადგილიც კი მომგერიებლისა, იქ უნდა გადაღიერდეს შეტევა: „მან ერთმან შიგნით შიგანნი მივსცეთ სისხლისა ღვარებსა“, თუმცა დანარჩენებმაც არ უნდა შეანელონ შეტევა: „სხვა გარეთ ვცემდეთ გარებსა“, რომ მომგერიებლებმა ვერ შესძლონ სხვა ადგილიდან გააძლიერონ მოგერიების ხაზი იმ ადგილას, სადაც იგი გაირღვა.

თუ რამდენად მაღალი კულტურის გამომხატველია ეს ხერხი ბრძოლისა, საკმარისია გავიხსენოთ, რომ იგი დღესაც ცოცხალია სამხედრო ხელოვნებაში.

არის ნიშანი იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის დროინდელ ბრძოლებში რეზერვის გამოყენებასა ჰქონდა ადგილი:

**„უკანანიცა ლაშქარნი მოესწრნეს მათ გაქცეულთა.
დაუწყეს პურობა, ჩამოყრა შეშინებულთა, ძლე-
ულთა“ (494).**

დასაშვებია, რომ „უკანანიცა ლაშქარნი“ რეზერვის აღსანიშნავი იმდროინდელი ტერმინი იყოს, მაგრამ ეს საკითხი მოითხოვს უფრო მეტ დასაბუთებას და შემოწმებას სხვა წყაროებითაც.

ჯარის მართველობა--როგორც ნაწარმოებიდან სჩანს, მშვიდობიანობის დროს ჯარი იკრიბება მეფის ან ამირსპასალარის განკარგულებით: „**ვუბრძანე წვევა ლაშქართა**, გავგზავნე მარზაპანია“—უამბობს ტარიელი ავთანდილს. ამის გარდა ლაშქრობის წინ ამირსპასალარი სინჯავს ლაშქრის დარაზმულობას, მის მოკაზმულობას, აბჯარს, ტაიქთა სიმალეს, მებრძოლთა სიჩაუქეს და სიკეთეს:

„**აღლუმი ვნახე**, მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა.

სიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად დარაზმულობა.

ტაიქთა მათთა სიმალე, აბჯართა ხვარაზმულობა“ (495).

მაშასადამე, მშვიდობიანობის დროსვე ჯარის შეკრება, მისი შეიარაღება და მოკაზმულობა, ბრძოლისათვის გაწვრთნა-მომზადება ამირსპასალარის გამგებლობის და მართვის საქმეა.

ბრძოლის ველზე ჯარის მართველობა განისაზღვრება ამირსპასალარის მიერ წინასწარ გეგმის შედგენით და საჭირო განკარგულების გაცემით, რომლის მიხედვითაც ჯარი იბრძვის:

„**ვუბრძანე ჩაცმა აბჯრისა** ლაღმან სიტყითა ხაფითა;

დავეკაზმენით საომრად ჯაქვ-ჯავშანითა, ქაფითა;

რაზმი დავაწყევ, მივმართე, წაველ დიდითა სწრაფითა“

(483).

ზოგიერთ შემთხვევაში თათბირსაც მართავენ, სადაც წინასწარ მუშავდება ბრძოლის გეგმა. დამახასიათებელია, რომ თათბირში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ უმაღლესი თანამდებობის პირნი და გადამწყვეტი სიტყვა მანც ამირსპასალარს ეკუთვნის:

„**დაასკვნეს იგი თათბირი, ტარიას განაზრახები**“ (1475)

ქაჯეთის ციხის აღების წინ.

თვით ბრძოლის მსვლელობაში ამირსპასალარის მეთაურობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ პირადი ვაჟ-

კაცობით მაგალითი უჩვენოს თავის მებრძოლთ და ამით გაამხნევოს ისინი:

„მუნ მივმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი
, დგესა“ (1488).

„შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი“
(489).

„ერთობილნი მომეხვივნეს, მრგვლივ შეიქმნა ომი
დიდი“ (490).

დისციპლინა: როგორც ნაწარმოებიდან სჩანს, ჯარში დამყარებულია მტკიცე დისციპლინა, ყველაფერი, როგორც მშვიდობიანობისას, ისე ბრძოლის დროს სრულდება ბრძანებისა და განკარგულების თანახმად:

„ვუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია“
იგი ვარსკვლავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია“
(444).

„ვუბრძანე ჩაცმა აბჯრისა ლაღმან სიტყვითა ხა-
ფითა;
დავეკაზმენით საომრად ჯაჭვ-ჯავშანითა, ქაფითა;
რაზმი დავაწყევ, მივმართე, წაველ დიდითა სწრა-
ფითა“ (483).

საინტერესოა გავიხსენოთ, რომ ფეოდალურ ხანის ჯარს ნაკლებად სწამდა დისციპლინა; მას უფრო ახასიათებდა ანარქია, როგორც მშვიდობიანობის დროს, ისე ბრძოლის ველზე. ფეოდალ-რაინდისათვის წარმოუდგენელი იყო, რომ ბრძოლის ველზე მას წინასწარ, სხვის მიერ გამომუშავებული წესით ან მით უფრო განკარგულებით ემოქმედნა. ფეოდალურ ხანაში ჯარში შეთანხმება, მოლაპარაკება შესაძლებელი იყო, ბრძანება კი არავითარ შემთხვევაში.

*
**

იმისათვის, რომ „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოკრებილი ცნობები გამოვიყენოთ მომავალში როგორც დამუშავე

ბული მასალა სამხედრო ხელოვნების ისტორიისათვის, საჭიროა გამოვარკვიოთ ორი საკითხი:

1. რომელ ხანას ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიერ აღწერილი სამხედრო ხელოვნება.

2. რომელ სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციას გამოხატავს იგი.

ცხადია, ამ საკითხების გამოსარკვევად საჭიროა „ვეფხისტყაოსნის“ ყოველმხრივ შესწავლა. საქმეს კიდევ ის ართულებს, რომ დღევანდლამდე არ არის შესწავლილი და გამოცემული საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორია. ამის გამო ჩვენ შეგვიძლიან გამოვსთქვათ მხოლოდ რამდენიმე მოსაზრებანი ამ ორი საკითხის გასაშუქებლად.

1. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არ იცნობს მონღოლთა სამხედრო ხელოვნებას.

სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან ვიცით და მონღოლთა დროის ჟამთააღმწერელიც მოწმობს, რომ მონღოლები იყვნენ „საჭურველსა არა-რასა მქონებელნი, მშვილდისა და ისრისა კიდე“, სამაგიეროდ „მოისარნი იყვნეს რჩეულნი, მაგრითა მშვილდითა უცთომრად მსროლელნი, რომელთა საკრავსა ვერა-რა-მან საჭურველმან დაუდგნის. უფროს ცხენსა ზედა იყვნეს მხნე, რამეთუ აღზრდა მათი ცხენსა ზედა იყვის“ („ქართლის ცხოვრება“, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, 1897 წ. გვ. 499). ამის გამო მონღოლთა სამხედრო ხელოვნებისათვის დამახასიათებელია სასროლი იარაღით ბრძოლა. მათი ბრძოლის მთავარი ხერხი იმაში გამოიხატებოდა, რომ ცხენოსანთა დიდი მასა ეცემოდა მოწინააღმდეგეს და უშენდა ისარს. თუ პირველი ტალღა ცხენოსან მოისრებისა ვერ შეარყევდა მოწინააღმდეგეს, იგი უკან იხევდა და მოწინააღმდეგეს მიესეოდა მეორე ტალღა ცხენოსან მოისრებისა.

თემურლანგი მოითხოვდა, რომ ბრძოლის ველზე სიღრმეში 9 ამგვარი ტალღა, ანუ ეშელონი მდგარიყო. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს მოთხოვნილება უფრო თეორიული იყო. სინამდვილეში ეშელონების რიცხვი უფრო მცირე იყო, მაგრამ არანაკლებ სამისა.

ასე ღრმა საბრძოლო წყობილება სხვა ღონისძიებასთან ერთად საშუალებას აძლევდა მათ გარშემორტყმოდნენ მოწინააღმდეგეს და გაეჟლიტათ იგი; სწორედ ასეც მოიქცნენ მონღოლები საქართველოში პირველი შემოსევის დროს იმ ბრძოლაში, რომელზედაც ჩვენი ისტორიკოსი სწერს: „ნახევარი ივლტოდეს თათარნი და ნახევართა მზირი ეყო და უკანით მოუხდეს. მაშინ მოიწია რისხვა ზეგარდამო... და ივლტოდეს ქართველნი და თვით მეფე ლაშა, და ურიცხვი სული ქრისტეანე მოკვდა“ („ქართლის ცხოვრება“, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, 1897 წ. გვ. 505).

მკვეთრი იარაღის მქონე ჯარი, უმეტეს შემთხვევაში ქვეითი, მონღოლების ჯარში დამხმარე როლს თამაშობდა, თუმცა ყველაზე კარგ ჯამაგირს მონღოლთა ჯარში ქვეითი ჯარისკაცი ღებულობდა. ცხენოსან ჯარის მიერ დამარცხებული მოწინააღმდეგის დატყვევება თუ ამოჟლეტა, ციხე-ქალაქის ალყის შემორტყმა, მეციხოვნეობა და სხვა ამგვარი რამ, აი ის ამოცანები, რომელნიც ვალად ედგა მონღოლთა მკვეთრ იარაღის მქონე ქვეითა ჯარს.

პირიქით, როგორც საერთო სურათი ბრძოლებისა, რომელიც აწერილია „ვეფხისტყაოსანში“, ისე ნაწარმოებიდან ამოკრებილი ცალკე ფაქტები გვარწმუნებენ, რომ ავტორისდროინდელ ბრძოლებისათვის დამახასიათებელია მკვეთრი იარაღით მოქმედება.

საკმარისია გავიხსენოთ საერთო სურათი ინდო-ხატა-

ელთა ბრძოლისა, ან ის ფაქტი, რომ ტარიელი აქებს არა მშვილდ-ისრის გამკეთებელს, არამედ ხმლის გამლესავს: „**შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, სრმალო, ვინც ვლესა**“ და იქადის არა მშვილდ-ისრის ნამოქმედრით, არამედ ხმლის ნაკვეთით: „**ჩემგან სრმლითა განაკვეთი ნახეს, მეტად გაუკვირდათ**“, რომ დაგრწმუნდეთ წამოყენებულ დებულების სიმართლეში.

ნადირობის გარდა, ბრძოლების აღწერის დროს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მხოლოდ ერთხელ იხსენიებს მშვილდ-ისარს, ისიც გაკვრით (649). მებრძოლის იარაღის აღწერის დროსაც არ იხსენიებს ავტორი მშვილდ-ისარს.

„კიდობანი გახსნეს, ჰპოეს მუნ აბჯარი სამი ტანი, რასაცა ვით შეიმოსნეს მეომარნი სამნი ყმანი.

ჯაჭვი, სრმალი, მუზარადი, საბარკული მათი გვანი“.

ჯარი თუ უკან იხევს, მხოლოდ დამარცხებული ან შეძრწუნებული მოწინააღმდეგის სიმრავლე-სიძლიერით.

აქედან ცხადია, რომ ავტორი არ იცნობს მონღოლთა სამხედრო ხელოვნებას.

თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმ გარემოებას, რომ მონღოლთა შემოსევას და მათ გაბატონებას საქართველოში დიდი გამოძახილი ჰქონდა, ძნელი წარმოსადგენია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ცხოვრებულიყო მონღოლების შემოსევისას, ან მის შემდგომ და არავითარი გავლენა არ მოეხდინა მის შეხედულებაზე მონღოლების სამხედრო ხელოვნებას. უფრო სწორია ვიფიქროთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ცხოვრობდა მონღოლების შემოსევამდე საქართველოში და მის მიერ აწერილი სამხედრო ხელოვნება ეკუთვნის მონღოლების შემოსევის წინ ხანას.

2. სამხედრო ხელოვნება, რომელიც აწერილია „ვეფხისტყაოსანში“, გარკვევით განსხვავდება საქართველოს

მეზობელ აღმოსავლეთ ერების, ირანელებისა და არაბების სამხედრო ხელოვნებისაგან.

ირანელებისა და არაბების, როგორც მონღოლების და საერთოდ აღმოსავლეთის ერების სამხედრო ხელოვნებისათვის დამახასიათებელია სასროლი იარაღით ბრძოლა. „ხრმალი და მოკლე შუბი გამოიყენებოდა (ირანელების მიერ) მხოლოდ როგორც მეორეხარისხოვანი იარაღი“. ⁵⁾.

იმავე ავტორის აზრით ირანელების მთავარი იარაღი ისარი იყო. მართალია, ჰანს დელბრიუკი თავის გამოკვლევაში ემყარება ცნობებს, რომელნიც ამოკრეფილია ესქილის დრამატულ ნაწარმოებიდან „სპარსელები“ და ეს ცნობები უძველეს ხანას ეკუთვნის, მაგრამ საკმარისია გავიხსენოთ ირანელ მე-10 საუკუნის მწერლის ფირდოუსის ნაწარმოები, „შაჰ-ნამე“ და დავრწმუნდებით, რომ ირანელების სამხედრო ხელოვნებას საშუალო საუკუნოებშიაც ისარი ახასიათებდა. ჯერ ერთი, არ არის „შაჰ-ნამე“-ში აწერილი ბრძოლა, რომ მშვილდ-ისარი მოხსენებული არ იყოს. ამის გარდა, ისარს „შაჰ-ნამე“-ს ავტორი მოიხსენებს, როგორც მებრძოლის მთავარ იარაღს. ამ დებულების დასამტკიცებლად „შაჰ-ნამეს“ მკითხველი ბევრს საბუთს იპოვნის; მოვიყვანთ რამდენიმეს:

„მე გავსცემ როსტომს ჰასუხსა, ესე დღე მენატრებოდა, ისრითა უზამ ჰასუხსა“ . . . (3656).

„ჰკრა მკერდსა არყის ისარი, აშქაფუშ გარდახდებისა, გარე შეიქცა, მობრუნდა, როსტომ მათისა ნებისა; თურქთა წაიღეს ისარი, სისრულე ეკვირვებისა, შუბისა ტარსა უფროა, ამას ვინ დაუდგებისა“ (3589).

„ჰკრა ისარი მუზარადსა, სისხლთა რევიტ ტვინი ნახა,

⁵⁾ Г. Дельбрюк — „История военного искусства в рамках политической истории, „Госиздат“ Москва, 1936 г. т. I. გვ. 74.

ტუსის თვალთა დაუბნელდა, ცრემლიანმა ივაგლახა
(3381).

„მისის მშვილდით შეტყორცნილსა ისართანა ქვანი
ლბოდეს“ (3358) ⁶⁾.

და სხვა.

ესევე ითქმის არაბების სამხედრო ხელოვნების შესახებ: „მთავარი განსხვავება, სწერს დელბრიუკი არაბების შესახებ, დასავლეთისაგან გამოიხატებოდა იმაში, რომ მათში უფრო გახშირებული იყო მშვილდი და ისრის ხმარება“ ⁷⁾.

ჩვენ კი ვიცით, რომ „ვეფხისტყაოსანში“ აწერილ სამხედრო ხელოვნებისათვის დამახასიათებელია შუბით და უმთავრესად ხმლით ბრძოლა. თუმცა უნდა ითქვას, რომ როგორც სჩანს, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იცნობს არაბთა სამხედრო ხელოვნებას, ან, უკეთ ვსთქვათ, „ვეფხისტყაოსანში“ არის ორი ადგილი, რომელიც ცხადპყობს არაბების სამხედრო ხელოვნების, თუმცა ცოტაოდენ, მაგრამ მაინც გარკვეულ გავლენას.

ა) ერთ ადგილას ტარიელი უამბობს ავთანდილს მოწინააღმდეგე მებრძოლების შესახებ „ქვითა დავლევით წვივებიო“, თუმცა ავტორი იარალის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ ჩვენ ერთი არაბული ნაწარმოებიდან ვიცით, რომ არაბთა მებრძოლნი ჩვეულებრივ ცხენზე მარჯვნივ და მარცხნივ ხურჯინის თვალში 30 ქვას ატარებდნენ⁸⁾, უეჭველია, მოწინააღმდეგის წვივების დასალეწად.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ტარიელს და მის თანამებრძოლთაც ცხენებზე თან ჰქონდათ იმავე მიზნით ქვები

⁶⁾ ფირდოუსი, „შაჰ-ნამე“, გამოცემა სახელმწიფო უნივერსიტეტისა, ქ. ტფილისი, 1934 წ.

⁷⁾ Г. Дельбрюк — „История военного искусства в рамках политической истории“, т. III, გვ. 119.

⁸⁾ იქვე.

და ბრძოლაში გამოიყენეს იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, როგორ დალეწეს წვივები.

ბ) არაბთა ტაქტიკოსები ამბობდნენ: „წინასწარმეტყველს საღამოთი უყვარს გამარჯვებაო“. ეს იყო დედა-აზრი მათი ბრძოლის წარმოების წესისა. არაბები ბრძოლის კრიზისს საღამომდე მიიყვანდნენ ხოლმე და ამ მომენტისათვის მათ ჰყავდათ ჯარის ცალკე წყება, რომელსაც უწოდებდნენ „რისხვის საღამოს“. ეს წყება მხოლოდ ბრძოლის დამთავრებისას, საღამოს უამს ეკვეთებოდა მტერს, რისხვასავით ეცემოდა მას და ამარცხებდა.

ტარიელი ასე ასწერს ხატაელებთან ბრძოლის დამთავრებას:

„საღამოს უამს დაიზახნა ქედით მათმან დარაჯამან:
ნულარა სდგათ, წავედითო, კვლა მოგვხედნა რის-
ხვით ცამან,

მოვა მტვერი საშინელი, შეგვაშინა ამაღ ამან.

ნუთუ სრულად ამოგვწყვიტნეს უთვალავმან, ბევრმან
სპამან“ (491).

მართლაც, ამ წყებამ რისხვა დასცა მტერს და გამარჯვება მიანიჭა ტარიელს.

უეჭველია, ეს ორივე ადგილი არაბთა სამხედრო ხელოვნების ანარეკლია.

3. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიერ აწერილ სამხედრო ხელოვნებას ძალიან ბევრი რამ აქვს საერთო ბიზანტიის სამხედრო ხელოვნებასთან.

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ჯარი ეწყობა და უეჭველია, იკრიბება კიდევ „თემ-თემად“. ბიზანტიაშიც იკრიბება და ეწყობა „თემ-თემად“. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით მეგრძოლის შეიარაღების მთავარი საგნებია: „ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, საბარკული“. ბიზანტიაშიაც ამგვარი იარაღია. ერთი დამახასიათებელი წვრილმანი შეიარაღებისა: აღმოსავლეთის ერების მეგრძოლთ მუზა-

რადი პირახდილი ჰქონდათ; სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგანაც დახურული მუზარადი ზღუდავს მხედველობას. შეზღუდულ მხედველობით კი მეტად ძნელია მშვილდ-ისრის გამოყენება. ხმლით მოქმედებისათვის შეზღუდული თვალთახედვაც საკმარისია. სამაგიეროდ პირდაფარული მუზარადი იფარავს პირისახეს მტრის იარაღისაგან. ბიზანტიელების მებრძოლთა მუზარადი პირდაფარული იყო. ასეთსავე მუზარადს ატარებენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები; ავტორი ერთ ადგილას ტარიელსა და ავთანდილის შესახებ ამბობს: „**დაეხურა ზარადები, პირსა მათსა უფარვიდა**“. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ჯარი უმთავრესად ცხენოსნებისაგან შესდგება, ქვეითა ჯარს თითქმის არ იხსენიებს ავტორი. ბიზანტიაშიაც ჯარის მთავარი ნაწილი ცხენოსნები იყვნენ. საკმარისია მოვიყვანოთ ნიკიფორ ფოკას მოწმობა: „სარდალს, როდესაც ხუთი ან ექვსი ათასი მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი ჰყავს და ღმერთი შველის, მეტი არაფერი არ ესაჭიროება“. დაბოლოს, რაც უმთავრესია, ბიზანტიის სამხედრო ხელოვნებისათვის დამახასიათებელია მკვეთრი იარაღით (ხმალი) ბრძოლის წარმოება; როგორც დავინახეთ, „ვეფხისტყაოსანში“ აწერილ სამხედრო ხელოვნებისათვისაც დამახასიათებელია მკვეთრი იარაღით ბრძოლა. ჩვენის აზრით, მოყვანილი ფაქტები საკმარისია წამოყენებული დებულების დასამტკიცებლად, სხვას რომ არ გამოვუდგეთ.

4. ზემოთმოყვანილი საბუთების მიხედვით ჩვენ შეგვიძლიან გამოვთქვათ საერთო მოსაზრება, რომ სამხედრო ხელოვნება, რომელიც აწერილია „ვეფხისტყაოსანში“, ეკუთვნის იმ ხანას, როდესაც საქართველოში ჯერ მონღოლების გავლენა არ იყო, აღმოიფხვრა, სამხედრო ხელოვნებაში მაინც, ირანის გავლენა, საგრძნობლად შე-

სუსტდა გავლენა არაბებისა და ფეხი მოიკიდა ბიზანტიის გავლენამ ან, უკეთ ვსთქვათ, ბიზანტიის და საქართველოს კულტურას ბევრი რამ საერთო ჰქონდათ.

5. იარაღის სახეობა, ვასალიტეტის სისტემა, რომელიც ცხადად სჩანს სამხედრო ორგანიზაციაში, რაინდობა— ყმობის და ქალის კულტი, ყველა ეს უტყუარი ნიშანია საშუალო საუკუნეების ევროპული ტიპის ფეოდალური ხანის რაინდობისა. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ფეოდალური ხანის სამხედრო ხელოვნება ფრიად დაბალ საფეხურზე იდგა. ფრანც მერინგი⁹) ფეოდალური ხანის ბრძოლების შესახებ სწერს: იმ დროს „სახელოვანი ომებიც კი უბრალო ჭიდილი იყო და ცოდვაც კია იმაზე ლაპარაკი, რომ ისინი ცოტათი მაინც სამხედრო ხელოვნებას გამოხატავდნენ“. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი კი აგვიწერს ისეთ ხერხებს, რომლებიც იმდროინდელ სამხედრო ხელოვნებას მაღალ საფეხურზე აყენებს. მართლაც ბრძოლის წინ მტრის დაზვერვა, ბრძოლის დროს ფრთების შემოვლა, ისიც წინასწარ შემუშავებული წესით და ჩასაფრება, მეთვალყურე დარაჯის გამოყოფა, უეჭველია, ფრთების და ზურგის დაცვის მიზნით, რაზმების განსაზღვრული წესით დაწყობა, რომელნიც „წყნარად სდგეს და აუშლელად“, ჯარის მართველობის წესი და მტკიცე დისციპლინა, დაბოლოს საუცხოო ხერხი ციხის აღებისა— ყველაფერ ამის შედარება-შეფარდება ევროპის ფეოდალური ხანის რაინდების შეხლა-ჭიდილთან მართლაც რომ ცოდვაა. ცხადია, იმდროინდელი სამხედრო ხელოვნება გამომხატველია უფრო მაღალი კულტურისა, ვიდრე ფეოდალური ხანის კულტურა, მაგრამ ამ საკითხს ცალკე გამოკვლევა ესაჭიროება.

⁹ Фр. Меринг— „Очерки по истории войны и военного искусства“. გვ. 70.

3256

~~8560 75 553.~~

641/240



ЛЕВАН ГАРСИАШВИЛИ

„ВИТЯЗЬ В БАРСОВОЙ ШКУРЕ“

Материалы по истории военного искусства

Грузия 1937 Тбилиси